

ჰენრი ჯეიმზი

•

მარწუხაბში

•

ასპერნის წერილები



მსოფლიო

ჰენრი ჯეიმზი

# მარჯუსებში

## ასპერნის წერილები

ინგლისურიდან თარგმნა  
ეკატერინე სუმბათაშვილმა



სულაკურის  
გამოცემლობა

## სარჩევი

მარნეულები.....7

ასპერნის წერილები ..... 153

ბუხართან ვისხედით. თუ არ ჩავთვლით უადგილო შენიშვნას, შემზარავიანო, სულგანაბული ვუსმენდით საზარელ ამბავს: ძველ სახლში, შობის დადგომამდე, სხვას რას უნდა უსმინო?! თუ მეხსიერება არ მლალატობს, სანამ ვილაცამ არ შენიშნა – მოჩვენების ბავშვისთვის გამოცხადება პირველად მესმისო – ხმა არავის ამოულია. სიცხადისთვის უნდა მოგახსენოთ, რომ ვისმენდით მოჩვენების გამოჩენას ზუსტად ისეთსავე ოდინდელ სახლში, როგორშიც იმ დროს ვიმყოფებოდით; მოჩვენებას რაც შეეხება – თავზარდამცემი ამბავი პატარა ბიჭუნას შეემთხვა. მას ოთახში დედასთან ერთად ეძინა და დამფრთხალმა, ქალი გააღვიძა; გააღვიძა არა იმიტომ, რომ მშობელს დაემშვიდებინა, რის შემდეგაც ალელვებაგადავლილი ძილს გააგრძელებდა, არამედ იმ მიზნით, რომ დედასაც დაენახა ის, რამაც თავად მას შიშის ზარი დასცა. სწორედ ამ სიტყვებმა იმოქმედა დაგლასზე – მაშინვე არა, არამედ საღამოს, მოგვიანებით – და მის ნათქვამს ყურადღება მივაქციე, რადგან საინტერესო შედეგი მოჰყვა. შეკრებილთაგან ერთ-ერთმა გვიამბო ისტორია, როგორც მახსოვს, არც ისე საინტერესო. შევატყვე, დაგლასი არ უსმენდა. ესეც მონიშნავდა, რომ რალაც უნდა მომხდარიყო; რალაც, რასაც, გულის სიღრმეში, ყველანი ველოდით. სიმართლე ითქვას, სულ ორი ღამე დაგვჭირდა ლოდინი, თუმცა იმავე საღამოს, დასაძინებლად წასვლამდე, დაგლასმა გაგვიმხილა ის, რაც, ეტყობოდა, მანამდე არ ასვენებდა.

– ვეთანხმები, როდესაც მისტერ გრიფინი ან ნებისმიერი სხვა მოჩვენება ასაკით პატარას ეცხადება, მართლაც უჩვეულო მოვლენაა. მაგრამ ჩემთვის ცნობილია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. თუ ბავშვისთვის მოჩვენების გამოცხადებას მარწუხებში ერთხელ მოქცევის ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, რას იტყოდით, თუ საქმეში ორი ბავშვია გარეული?

– რასაკვირველია, იმას, რომ ეს უკვე მარწუხებში ორჯერ მოქ-

ცევაა! – წამოიძახა რომელიღაცამ, – და კიდევ, ყველას გვინდა ეგ ამბავი მოვისმინოთ.

ახლაც თვალწინ მიდგას ბუხარს მიყრდნობილი დაგლასი, რომელსაც ცეცხლისთვის ზურგი შეუქცევია, შარვლის ჯიბეებში ხელეზრანყობილი ზემოდან დასცქერის თანამოსაუბრეს.

– აქამდე ჩემ გარდა არავის მოუსმენია. მეტისმეტად თავზარდამცემი ამბავია.

რასაკვირველია, რამდენიმემ მაშინვე წამოიძახა, რომ სწორედ ამით იქნებოდა მონაცოლი ფასეული, ხოლო ჩვენმა მეგობარმა, მშვიდად, თავისი ტრიუმფისთვის მომზადებულმა, ბუხრის გარშემო მსხდომებს თვალი მოგვაავლო და თქვა:

– ყველაფერს აჭარბებს. მსგავსი არასოდეს არაფერი შემიტყვია.

– იმ თავზარდაცემის გამო, რასაც ინვეეს? – მახსოვს, ეს შევეკითხე.

ეტყობოდა, პასუხის გაცემა უჭირდა; ზუსტ სიტყვებს ეძებდა. თვალეზრე ხელი გადაისვა, ოდნავ შეჭმუხნა სახე და მერე მიპასუხა:

– შემადრწუნებელია... შემზარავი!

– ოჰ, რა მშვენიერია! – წამოიძახა ერთმა ქალბატონმა.

დაგლასს ყურადღება არ მიუქცევია, თვალს არ მაშორებდა, მაგრამ ვატყობდი, სინამდვილეში მე კი არა, იმას ხედავდა, რასაც სიტყვებით გამოთქვამდა:

– ...აუხსნელი სიმახინჯით, თავზართა და ტკივილით.

– თუ ასეა, დაბრძანდით და მოგვიყევით, – ვუთხარი მეგობარს.

ისევ ცეცხლისკენ შებრუნდა, ფეხი ჰკრა შეშას, ერთხანს ალს დასცქეროდა. მერე ჩვენკენ შემობრუნდა და გვითხრა:

– მოყოლას ვერ დავიწყებ. ამისათვის საჭიროა, ქალაქში ვინმე გავგზავნო, – პასუხმა შეკრებილთა ერთსულოვანი უკმაყოფილება და საყვედურნარევი შეძახილები გამოიწვია; დაგლასი თავის ფიქრებში იყო გართული, მერე ნათქვამს დაამატა: – ამბავი წერილობითაა შემონახული. მაგიდის უჯრაშია ჩაკეტილი – უკვე მრავალი წელია, თვალთ არავის უნახავს. შემოიძლია ჩემს კამერდინერს მივწერო და წერილს გასაღებიც ვავაყოლო; ის უჯრიდან პაკეტს ამოიღებს და გამოგზავნის, – ამას რომ ამბობდა, მე მომჩერებოდა, თითქოს ყოყ-

მანობდა და ამიტომ, მხარდაჭერა სჭირდებოდა. მრავალი ზამთრის განმავლობაში დაგროვილი სქელი ყინული დაამტვრია; ემჩნეოდა, ამდენი წლის დუმილისთვის სათანადო მიზეზები ჰქონდა. დანარჩენებს ნაკითხვის გადადება არ მოსწონდათ, მაგრამ მე სწორედ მისმა მერყეობამ მომხიბლა. შევეხვეწე, დილით ადრე, პირველი ფოსტის გაგზავნისას წერილი მზად ჰქონოდა, რომ რაც შეიძლებოდა მალე მოგვესმინა ამბავი; მერე გკითხე, ეფუძნებოდა თუ არა ნაწერი მის საკუთარ გამოცდილებას. მაშინვე ეს მიპასუხა:

– ოჰ, ღმერთმა დამიფაროს, არა!

– თქვენ ჩაინერეთ? ასე ღრმად იმოქმედა?

– შთაბეჭდილება მოახდინა. მას აი, აქ ვინახავ, – ხელი მკერდზე დაიდო, – არასოდეს დამვიწყებია.

– მაშ, თქვენი ხელნაწერი...

– ძველია, მელანი უკვე გახუნდა. უმშვენიერესი ხელითაა დაწერილი, – ერთხანს დუმდა, მერე დაამატა, – ქალის ნაწერია. უკვე ოცი წელია, გარდაიცვალა. ხელნაწერი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამომიგზავნა.

ახლა უკვე ყველა სულგანაბული უსმენდა, და, რასაკვირველია, გონებამახვილიც მოიძებნა, რომელიც შესაბამისი მინიშნების გამოთქმას არ მოერიდა. დაგლასი მის სიტყვებს ღიმილით არ შეხვედრია, თუმცა არც გაბრაზებულა.

– მომხიბლავი ადამიანი გახლდათ, მაგრამ ჩემზე ათი წლით იყო უფროსი. ჩემი დის გუვერნანტად მუშაობდა, – თქვა მშვიდად, – ამ საქმიანობით დაკავებულთაგან ყველაზე ჩინებული ქალბატონი გახლდათ, ვისაც კი შეხვედრივარ. საზოგადოებაში იმაზე უკეთეს მდგომარეობას იმსახურებდა, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა. ის ამბავი, რაზეც ვსაუბრობთ, მასთან შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე მოხდა. მაშინ ტრინიტის კოლეჯში ვსწავლობდი და მეორე წელს, ზაფხულის არდადეგებზე შინ ჩასულს, იქ დამხვდა. იმ წელს სახლიდან არ გავსულვარ. ჩინებული ზაფხული იდგა და როდესაც თავისუფალი დრო ჰქონდა, მასთან ერთად ბაღში ვსეირნობდი. ამ საუბრების დროს გამოჩნდა, როგორი ქკვიანი და შესანიშნავი ქალბატონი ბრძანდებოდა. ოჰ, დიახ, სულ ტყუილად გელიმებათ: ძალიან მომწონდა

და მიხარია, იმიტომ, რომ ვფიქრობ, მასაც მოვწონდი. ასე რომ არ ყოფილიყო, საკუთარ თავგადასავალს არაფრის დიდებით არ მომიყვებოდა. მანამდე არავისთან სიტყვა არ დაუძრავს. მეტისმეტად მძიმე ტვირთი გახლდათ, მაგრამ ასე მოიქცა. დარწმუნებული ვარ, არ ვცდები. რაც მოგახსენეთ, იმას აშკარად ვატყობდი. ამას თქვენც მიხვდებით, როდესაც ამბავს მოისმენთ.

– იმიტომ, რომ საზარელი რამ მოხდა?

თვალი თვალში გამიყარა და მიპასუხა:

– ეს ზედაპირული დასკვნაა. მოგვიანებით თავადაც გაარკვევთ.

მეც დაჟინებით მივაჩერდი და ვთქვი:

– გასაგებია. შეყვარებული იყო.

დაგლასმა პირველად გაიცინა:

– მიხვედრილი ხართ. დიახ, შეყვარებული იყო. ეს მოხდა ამ ამბამდე და რომ მოეყოლა, ძალაუვნებურად ესეც გამოაშკარავდებოდა. მივხვდი, ისიც მიხვდა, რომ მივხვდი; თქმით კი არ გვიხსენებია. მახსოვს ზუსტი დრო და ადგილი, როდის მომიყვა – მოკლედ გაკრეჭილი ბალახით დაფარული ნაკვეთის კუთხე, დიდი წიფლების ჩრდილი, ზაფხულის ცხელი ნაშუადღევი. მოქმედების ადგილი ხიფათს სრულებით არ მოასწავებდა, მაგრამ ოჰ!.. – ბუხარს მოსცილდა და ისევ სავარძელში ჩაჯდა.

– პაკეტს ხუთშაბათს დილით მიიღებთ? – შევეკითხე.

– სავარაუდოდ, ფოსტის მეორე მოტანისას.

– ჩინებულია. ესე იგი, ვახშმის შემდეგ...

– ყველანი ისევ აქ ვიკრიბებით? – მიმოიხედა დაგლასმა, – არის ვინმე, ვინც წასვლას აპირებს? – მის ხმაში იმედი ისმოდა.

– ყველანი ვრჩებით!

– მე ვრჩები...

– მეც! – გაისმა იმ ქალბატონების ხმაც, რომელთა წასვლის თარიღი წინასწარ იყო შეთანხმებული. თუმცა, მისი გრიფინმა ჩათვალა, რომ ჩანანერის ნაკითხვამდე ცოტაოდენი ახსნა-განმარტება არავის აწყენდა:

– მაინც ვისზე იყო შეყვარებული?

– ნაკითხვისას გამოჩნდება, – ვუპასუხე მაშინვე.

– ოჰ, ვერ ვითმენ!  
– ამბიდან ცალსახა დასკვნას ვერ გამოიტანთ, – თქვა დაგლასმა, –  
უხეშად რომ ვთქვათ, პირდაპირ მინიშნებას ვერ შეხვდებით.  
– მით უფრო სამწუხაროა. მე მხოლოდ პირდაპირ ნათქვამი მესმის.  
– თქვენ ხომ არ გვეტყვი, დაგლას? – ჰკითხა შეკრებილთაგან  
რომელიღაცამ.

დაგლასი სწრაფად წამოდგა.

– დიას – ხვალ. ახლა კი უნდა დავიძინო. ღამე მშვიდობისა, – ხელი  
სტაცა თავის სასანთლეს და იქაურობას გაეცალა, ცოტათი დაბნე-  
ულები დაგვტოვა. დიდი, ჩაბნელებული ჰოლის იმ კუთხეში, სადაც  
ვიმყოფებოდით, კიბეზე ასული დაგლასის ნაბიჯების ხმა გვესმოდა.

მერე მისის გრიფინი ალაპარაკდა:

– ჰმ, თუ ის არ ვიცი, იმ ქალს ვინ უყვარდა, იმას მაინც ვხვდები,  
დაგლასი ვისზე იყო შეყვარებული.

– კი მაგრამ, ქალი ათი წლით მასზე უფროსი ყოფილა, – შენიშნა  
მისის გრიფინის ქმარმა.

– Raison de plus<sup>1</sup>-თანაც, მაგ ასაკში! მაგრამ რა შესანიშნავია, ამდე-  
ნი წელი რომ იკავებდა თავს და არაფერი უთქვამს.

– ორმოცი წელი! – დაამატა გრიფინმა.

– და, როგორც იქნა, ამოხეთქა.

– ამოხეთქვას ხუთშაბათს ღამისთვის უნდა დაველოდოთ, – დავა-  
მატე და ყველა დამეთანხმა იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ვერა-  
ფერი იპყრობდა ჩვენს ყურადღებას. კიდევ ერთი ამბავი მოვისმინეთ,  
თუმცა დაუსრულებელი და გაგრძელებების მქონე საგაზეთო რომა-  
ნივით უინტერესო; მერე ყველამ ჩვენ-ჩვენს შანდლებს წამოვავლეთ  
ხელი, ერთმანეთს მშვიდობიანი ღამე ვუსურვეთ და ოთახებში გავიკ-  
რიფეთ.

მეორე დილით შევიტყვე, რომ გასაღებიანი წერილი პირველ  
ფოსტასთან ერთად ლონდონის ბინაში გაიგზავნა; ამის მიუხედავად –  
ან იქნებ, პირიქით, სწორედ ამ ამბის შეტყობისა და მალევე გავრცე-  
ლების წყალობით – დაგლასისთვის თავი აღარ შეგვიწყენია, ყველანი  
ვანშობის შემდეგ საღამოს შეკრებას ველოდებოდით, რომელსაც

---

<sup>1</sup> მით უმეტეს (ფრ.)



უნდა გაემართლებინა ძლიერი განცდების ჩვენეული მოლოდინი. ვახშმის შემდეგ დაგლასი, ჩვენდა გასაკვირად და სასიხარულოდ, ენანყლიანი აღმოჩნდა და თავადვე აგვიხსნა, რა იყო ამის მიზეზი.

წინა სალამოს დარად, ჰოლში, ბუხრის გარშემო შეკრებილები, სასიამოვნო მღელვარებით ვუსმენდით. როგორც გაირკვა, ის ამბავი, რომლის წაკითხვასაც გვპირდებოდა, მცირეოდენ შესავალს საჭიროებდა. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ქვემოთ წაკითხავთ სრულად გადაწერილ მონათხრობის ასლს – კარგა ხნის შემდეგ, სანამ საბრალო დაგლასი გარდაიცვლებოდა. როგორც კი სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ხელნაწერი მე გადმომცა. საჭირო პაკეტი მესამე დღეს ჩამოვიდა; მეოთხე სალამოს ბუხრის წინ შეკრებილ სულგანაბულ მსმენელთა მცირერიცხოვან წრეს წაგვიკითხა და არნახული შთაბეჭდილება დატოვა. ქალბატონები, რომლებმაც გამოაცხადეს, თითქოს წასვლას გადადებდნენ, მადლობა ღმერთს, ასე არ მოიქცნენ: წავიდნენ, რადგან წინასწარ იყო შეთანხმებული გამგზავრება, თუმცა იმის გამო, რაც წინა დღეებში მოისმინეს, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდათ. მაგრამ მათმა გამგზავრებამ დარჩენილ მსმენელთა წრე უფრო მჭიდრო და შერჩეული გახადა, ყველანი ხმის ამოუღებლად ვუსმენდით, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით, ვისხედით და ტანში ჟრუანტელი გვივლიდა.

პირველი განმარტება ეხებოდა შემდეგს: ნაწერი ზეპირად მონაცოლს იმ ადგილიდან აგრძელებდა, რითაც მთელი ამბავი დაიწყო. დაგლასის ხელში ხელნაწერის აღმოჩენა შემდეგმა გარემოებამ განაპირობა – სოფლის ღარიბი პასტორის რამდენიმე ქალიშვილიდან უმცროსმა, ოციოდე წლისამ, პირველი სამუშაო სოფლის სკოლაში მიატოვა და ლონდონში ჩავიდა; იქ იმ ადამიანს შეხვდა, რომლის განცხადებას წერილობით უპასუხა და ხანმოკლე მიმონერაც ჰქონდათ. ჰარლეი სტრიტის სახლში მისულ ახალგაზრდა ქალზე მასპინძელმა ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა – მომავალი დამქირავებელი აღმოჩნდა ჯენტლმენი, მონიჭული ასაკის დაუქორწინებელი მამაკაცი – ასეთს, დაბნეული და აღელვებული ქალიშვილი ჰემფშირის სამრევლოს მღვდლის სახლიდან, მხოლოდ სიზმარში თუ ნახავდა ან მასზე რომანში თუ წაკითხავდა. ამგვარი ტიპაჟის

წარმოდგენა სრულებით არ არის ძნელი – საბედნიეროდ, ისინი არასოდეს გადაშენდებიან. მამაკაცი სანდომიანი იყო, თამამი და თავაზიანი, ლალი, მხიარული და ალერსიანი, და, ბუნებრივია, გალანტურობა და შთამბეჭდავმა, მაშინვე მოხიბლა გოგონა. მაგრამ ქალიშვილი ყველაზე მეტად მიიზიდა და შემდგომ საქციელს გამბედაობა შეჰმატა იმ ფაქტმა, რომ მასპინძელი მის თანხმობას ერთგვარ კეთილგანწყობის გამომხატველ სამსახურად მიიჩნევდა და მაღლიერებითაც მიიღებდა. ერთი შეხედვითვე გასაგები გახდა, რომ კაცი მდიდარი იყო, თუმცა უთავბოლო მხარჯველი – ეს კარგად ჩანდა მაღალი მოდისადმი მიმდევრობაში, მოვლილ იერსა თუ მდიდრულ სამოსში, ძვირად ღირებულ ჩვეულებებსა და ქალების მოხიბვლის ძვალსა და რბილში გამჯდარ უნარში. ქალაქის რეზიდენცია, დიდი სახლი, სავსე იყო მოგზაურობებიდან ჩამოტანილი ნივთებითა და ნადირობის ალაფით; მაგრამ ჰქონდა სახლი სოფლადაც, ოჯახის კუთვნილი ძირძველი მამული ესექსში, სადაც, მასპინძლის სურვილით, ახალგაზრდა ქალი დაუყოვნებლივ უნდა შესდგომოდა მუშაობას.

მშობლების სიკვდილის შემდეგ სოფლის სახლში ცხოვრობდნენ პატარა ბიჭი და გოგონა – მასპინძლის უმცროსი ძმის შვილები. სამხედრო მოსამსახურე ძმა ორი წლის წინ დაღუპულიყო. ასე აღმოჩნდნენ ბიძის ხელში ბავშვები. გამოუცდელი და უნებისყოფო კაცისთვის პატარები ხელისშემშლელ ტვირთად იქცნენ. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ანუხებდა და ანერვიულებდა. რა დასამალია, ბევრი შეცდომა დაუშვა, უხეშიც კი, თუმცა დაობლებული მოზარდები მეტისმეტად ებრალებოდა; მათთვის არაფერი დაუშურებია: უპირველესად, უფრო შესაფერის გარემოში, სოფლის სახლში გაგზავნა; მიუჩინა საუკეთესო ადამიანები, რომელთა მოძებნაც კი შეძლო, თავისი მსახურების ნაწილსაც კი შეეღობა; თავისუფალ დროს თავადაც ჩადიოდა მოსანახულებლად. სხვა ნათესავი არ ჰყავდა, საქმეები კი მეტისმეტად დიდ დროს ართმევდა; ამიტომ, ბავშვებს მფლობელობაში გადასცა ბლასის მამული, ჯანსაღი და დაცული ადგილი; ქვედა სართულზე დაბინავებული იქაური შტატის გაძლოლა დაავალა ჩინებულ ქალს, მისის გროუზს. მასპინძელი დარწმუნებული იყო, ახალ სტუმარს მოეწონებოდა მისის გროუზი, რომელიც ადრე დედამისის

მოსამსახურედ მუშაობდა, მას მერე კი სოფლის სახლის მნე გახდა, ასევე დროებით პატარა გოგონაზე მზრუნველობაც ევალებოდა. თავად მისის გროუზი უშვილო გახლდათ, გოგონა კი ძალიან უყვარდა. სახლში სხვა მოსამსახურეებიც იყვნენ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ბავშვების გუვერნანტს ექნებოდა. ზაფხულში მას უნდა ეზრუნა ბიჭუნაზეც, რომელიც მანამდე ერთი სემესტრი სკოლაში სწავლობდა – სკოლისთვის ასაკით ჯერ პატარა იყო, მაგრამ სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ? – არდადეგები იწყებოდა და სადაცაა, ისიც შინ დაბრუნდებოდა. ბავშვების აღზრდას ადრე სხვა ახალგაზრდა ქალი უწევდა მეთვალყურეობას, მაგრამ, საუბედუროდ, ის დაიღუპა. რესპექტაბელური ახალგაზრდა ქალბატონი ბრძანდებოდა და ორივეს აღზრდას შესანიშნავად უმკლავდებოდა გარდაცვალებამდე, რის შემდეგაც მაილზის სკოლაში მიყვანაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს. ამის მერე მისის გროუზი აქცევდა ყურადღებას ფლორას – მის მანერებსა და ქცევას; დანარჩენ ბინადრებს რაც შეეხებოდათ, სახლში იყვნენ მზარეული, მოსამსახურე, მერძევე, მოხუცებული მეეტლე და მებაღე, ყველა პატივსაცემი და ღირსეული; ასევე ბებერი პონი.

მას შემდეგ, რაც დაგლასმა ზემოთ აღწერილი გვიამბო, ერთმა მსმენელმა შეკითხვა დასვა:

– რა იყო წინა გუვერნანტი ქალის გარდაცვალების მიზეზი? – მეტისმეტი რესპექტაბელობა ხომ არა?

ჩვენი მეგობრის პასუხი ასეთი გახლდათ:

– თავის დროზე ამასაც შეიტყობთ. არ მინდა მოვლენების დაჩქარება.

– მაპატიეთ... ვიფიქრე, რომ სწორედაც აჩქარებთ.

– მისი შემცვლელის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, იმას გავარკვევდი, სამუშაო... – ნამოვიწყე.

– სასიკვდილო საფრთხის შემცველი იყო თუ არა? – დაასრულა დაგლასმა ჩემი მოსაზრება, – ამის გარკვევა სურდა და გაარკვია კიდეც. ხვალ ხელნაწერის წაკითხვისას მიხვდებით, რა შეიტყო. თუმცა, რასაკვირველია, პერსპექტივა აშინებდა. ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, ალელგებულები: სერიოზული ვალდებულებები ეკისრებოდა, დამხმარე კი ბევრი არავინ იქნებოდა – მარტო უნდა გამ-

კლავებოდა ყველაფერს. ყოყმანობდა – პასუხის მოსაფიქრებლად და კონსულტაციებისთვის ორი დღე ითხოვა. მაგრამ შეთავაზებული ხელფასი არნახულად აღემატებოდა მის მოკრძალებულ ფინანსურ შესაძლებლობებს და მეორე შეხვედრაზევე სამსახურს დასთანხმდა, – დაგლასი მცირე ხნით დადუმდა, რამაც საშუალება მომცა, შეკრებილ-თა ინტერესის გათვალისწინებით, შენიშვნა ჩამერთო:

– შესაბამისად, ამ ამბის მორალია თვალისმომჭრელად სანდო-მიანი მონიფული მამაკაცის მომხიბვლელობა. გოგონაზე იმოქმედა.

დაგლასი წამოდგა და როგორც წინა ღამეს, ბუხართან მივიდა, ფეხით შეასწორა შეშა. ერთხანს ზურგით იდგა. მერე ჩვენკენ შემობრუნდა.

– ის მხოლოდ ორჯერ ნახა.

– ჰო, მაგრამ სწორედ ეს ანიჭებს სილამაზეს ვნებას.

გამიკვირდა, როდესაც დაგლასი ჩემკენ შემობრუნდა და თქვა:

– ნამდვილად თავისებურად ღამაში იყო ეს ფაქტი. თუმცა აღმოჩნდნენ სხვებიც, რომლებზეც მამაკაცის მომხიბვლელობამ არ იმოქმედა. გასაუბრებისას ყველაფერს გულახდილად მოუყვა – რამდენიმე კანდიდატისთვის სამუშაოზე აყვანის პირობები მიუღებელი აღმოჩნდა. ისინი, უბრალოდ, დაფრთხნენ. მათთვის პირობები სრულიად ბუნდოვანი – უცნაურიც კი გახლდათ; განსაკუთრებით – მთავარი პირობა.

– რა პირობა?..

– დამქირავებელი არასოდეს უნდა შეეწუხებინა – არასოდეს, აღარასოდეს: არც რჩევისთვის მიემართა, არც საჩივრელად, არავითარი მიზეზით არ უნდა მიენერა; ყველა საკითხის გადანყვეტა თავის თავზე უნდა აეღო, სანდო პირისგან მიღებული ფული სათანადოდ გაენაწილებინა და დამქირავებლისთვის თავი დაენებებინა. ახალგაზრდა ქალმა ამ პირობის შესრულება აღუთქვა და მერე მიყვებოდა, რომ კაცმა შვევით ამოისუნთქა, გახარებულმა მისი ხელი აიღო და მსხვერპლშენიღვისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო ქალი უკვე ისე გრძნობდა თავს, თითქოს სათანადო ჯილდო მიიღო.

– მაგრამ სულ ეს იყო ჯილდო? – იკითხა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

– მას აღარასოდეს შეხვედრია.

– ოჰ! – წამოიძახა ქალბატონმა, ხოლო ჩვენმა მეგობარმა დაუ-  
ყონებლივ დაგვტოვა და ეს გახლდათ ამ თემასთან დაკავშირებით  
წარმოთქმული ბოლო სიტყვა მანამ, სანამ მეორე საღამოს კვლავ  
ბუხართან შევიკრიბებოდით. ჩვენ სულგანაბული ვისხედით, სავარ-  
ძელში მოკალათებულმა დაგლასმა კი გახუნებული, წითელყდიანი,  
თხელი, ძველებური მოოქრულკიდეებიანი ალბომი გადაშალა. სანამ  
კითხვას შეუდგებოდა, იმავე ქალბატონმა ჰკითხა:

– სათაურს რას არქმევთ?

– არ ვარქმევ სათაურს.

– ოჰ, მე ვიცი, რა უნდა ერქვას! – წამოვიძახე, მაგრამ დაგლასს ჩემ-  
თვის ყური არ უთხოვებია. კითხვა დაიწყო ისეთი ჩინებული, გარკვე-  
ული დიქციით, როგორიც ავტორის ლამაზ ხელწერას შეეფერებოდა.